საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/8156
27/09/2023

8156-21-2-202309271148

შპს „აჭარა აგროჯგუფს“
მის: ქ. ბათუმი, ხიმშიაშვილის ქ. №4, ბ. №306, ბლოკი „B”
ელ. ფოსტა: Shota776.sm@gmail.com

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №8437 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ცეცხლაურში სამელიორაციო სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტის თანახმად, „პლანტაციიდან უახლოესი მოსახლის სახლი 400 მ-ში მდებარეობს“, თუმცა, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან, უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 125 მეტრით. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს კორექტირებას;
- სკრინინგის განცხადების მე-4 თავში მითითებულია, რომ „ჭაბურღილიდან წყლის რეზერვუარამდე X-738432, Y-4639306, 220 კუბური მეტრი, რომელიც დაშორებულია 130 მეტრით, წყლის ნაკადის მიწოდება მოხდება მაგისტრალური 110, 90 და 75 მმ. დიამეტრის მილებით“. დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს წყლის რეზერვუარის შესახებ ინფორმაცია (ტიპი, მოცულობა, ფართობი);
- დოკუმენტის მე-10 თავში აღნიშნულია, რომ „ნიადაგის დაცვის კუთხით, წარმოქმნილი საქმიანობის შედეგად არ არსებობს რისკფაქტორები, ვინაიდან, სარწყავი სისტემის მოწყობა არ იქნება დაკავშირებული მიწის სამუშაოებთან“, ხოლო მე-5 თავში მითითებულია, რომ „მაგისტრალური და დამხმარე მილები ჩალაგებული იქნება 50 სმ სიღრმის ტრანშეაში“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტებას საჭიროებს სამელიორაციო სისტემისა და მისი შემადგენელი ინფრასტრუქტურის მოწყობის ეტაპზე, მიწის სამუშაოების შედეგად ამოღებული გრუნტისა და მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა-დასაწყობებისა და შემდგომი მართვის საკითხი;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს ფერტიგაციის რეზერვუარისა და ტუმბოს განთავსების GPS კოორდინატები;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს სამელიორაციო სისტემის მოწყობის პროცესში გამოსაყენებელი ტექნიკისა და სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობის შესახებ ინფორმაცია;

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს წყალაღების წერტილიდან საპროექტო ხაზობრივი ნაგებობის დერეფნის დეტალური აღწერა, სიტუაციური რუკის თანდართვით და მაგისტრალური და დამხმარე მილსადენების სიგრძეების მითითებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE • კვალიფიცური ელექტრონული ხელმოწერა